სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №12
2020 წლის 3 ივნისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 29.12.2015, 040170050.57.069.016081) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კანონის 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვადებით ჩატარებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, ხელშეკრულებათა ჯამური ღირებულება უდრის ან აღემატება, შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში ასახულ ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**